საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 11 მარტის
დადგენილება №1965

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის

სამართლის დეპარტამენტში სასწავლო-სამეცნიერო

საჯარო სამართლის ლაბორატორიის შექმნის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის აკადემიურ დეპარტამენტში სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის საჯარო სამართლის ლაბორატორია, საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის, კვლევების ჩატარების, საჯარო სამართლის სფეროში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის, სამართლის კანონპროექტების განხილვის და მომზადების, ასევე, სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის შედგენის და სხვადასხვა საგანმანათლებლო სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) აღნიშნული ლაბორატორიის დებულების დამტკიცება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარმოადგენს პროფ. ი. გაბისონია.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე